

მიტროპოლიტი  
კალისტე (უეარი)

**შესაქმის  
მართლმადიდებლური ხედვა**

*ინგლისურიდან თარგმნა  
გიორგი ხუროშვილმა*

**Metropolitan Kallistos (Ware)**

**THE ORTHODOX VISION OF CREATION**

*Translated by Giorgi Khuroshvili*

თბილისი 2019 Tbilisi

ახალი საქართველოს უნივერსიტატი  
კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის  
სამეცნიერო-კვლევითი არქივი

NEW GEORGIAN UNIVERSITY  
Archive of Caucasian Philosophy and Theology

სამეცნიერო რედაქტორები: ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი  
გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), პროფესორი, დოქტორი  
პროფესორი, დოქტორი თენგიზ ირემაძე

**Editors:** Professor, Doctor, Metropolitan of Poti and Knobi  
**Grigoli (Berbichashvili)**  
Professor, Doctor **Tengiz Iremadze**

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი  
Cover design and Book layout: **Giorgi Bagrationi**

პირველი გამოცემა, 2019  
First Edition, 2019

© კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის  
სამეცნიერო-კვლევითი არქივი, 2019

© Archive of Caucasian Philosophy and Theology, 2019

დაიბეჭდა შპს „ფაევორიტი სტილში“, 2019  
თბილისი, ჩუბინაშვილის 50

ISBN 978-9941-8-1001-5

## სარჩევი

წინათქმა .....	5
ახალი დღის დასაწყისი .....	7
რატომ შექმნა ღმერთმა სამყარო? .....	12
ეკოლოგიური კრიზისი .....	21
მეფე, მოურავი, მღვდელი .....	25
კოსმიური ქრისტე .....	34
სახელთა საძიებელი .....	39
ავტორის შესახებ .....	42



## წინათქმა

ჩემთვის დიდი პატივი და ბედნიერებაა, რომ მომენიჭა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი საქართველოს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. ვლოცულობ, რომ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ აკურთხოს ამ უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და კვლევითი საქმიანობა.

ქრისტემ თქვა: „მე ვარ ჭეშმარიტება“ (იოანე, 14:6); მან აგრეთვე თქვა: „შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“ (იოანე, 8:32). ვფიქრობ რა ჩვენი მხსნელის ამ სიტყვებზე, შევთხოვ ღმერთს, რომ, დაე, ეს უნივერსიტეტი მუდამ იყოს ის ადგილი, სადაც შეისწავლიან და შეიცნობენ ჭეშმარიტებას მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა ტრადიციის ერთგულებითა და შემოქმედებითი მუშაობით.

წინამდებარე გამოცემის სახით თქვენს წინაშეა მოხსენება, რომელიც წავიკითხე საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების საზეიმო ცერემონიაზე, 2018 წლის 9 ოქტომბერს, ახალი საქართველოს უნივერსიტეტში, ქ. ფოთში. ამ მოხსენებაში განხილულია შესაქმის მართლმადიდებლური ხედვის ზოგიერთი საფუძველმდებარე ასპექტი.

დაე, ღმერთმა დალოცოს ამ ტექსტის ქართული თარგმანი!

**დიოკლიის მიტროპოლიტი კალისტე (უეარი)**  
**ქ. ფოთი, 2018 წლის ოქტომბერი**